6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს შეძენილი საწვავის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მიხედვით შესაბამისი "ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.1.3 უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 შემსყიდველის შეკვეთის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში გამოუწეროს მას ,,ენსაფ"-ი მოთხოვნილ საწვავზე, ხოლო ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებისთანავე ჩაურიცხოს შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშზე შეძენილი საწვავი;

7.4.2 გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საწვავის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე (საწვავის შეძენის ვადა - 2016 წლის 31 ოქომბრამდე).

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება შემსყიდველის მიერ შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.